



**საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი**  
**GEORGIAN TECHNICAL UNIVERSITY**

**დამტკიცებულია**  
 სტუ-ს აკადემიური საბჭოს  
 2012 წლის 05 სექტემბრის  
 №740 დადგენილებით

**მოდულირებულია**  
 სტუ-ს აკადემიური საბჭოს  
 2021 წლის 29 ივლისის  
 № 01-05-04/105 დადგენილებით

**ბაკალავრიატის საგანმანათლებლო პროგრამა**

**პროგრამის სახელწოდება**

ბიზნესის ადმინისტრირება

Business Administration

**ფაკულტეტი**

ბიზნესტექნოლოგიების ფაკულტეტი

Faculty of Business Technology

**პროგრამის ხელმძღვანელი**

პროფესორი თეიმურაზ ყანდაშვილი

**მისანიჭებელი კვალიფიკაცია და პროგრამის მოცულობა კრედიტებით**

ბიზნესის ადმინისტრირების ბაკალავრის (Bachelor of Business Administration) ხარისხი მიენიჭება პროგრამით გათვალისწინებული ძირითადი სპეციალობის 210 კრედიტის და თავისუფალი კომპონენტების სახით 30 კრედიტის ათვისების შემდეგ, არანაკლებ 240 კრედიტის შესრულების შემთხვევაში.

**სწავლების ენა**

რუსული

**პროგრამაზე დაშვების წინაპირობა**

ბაკალავრიატში სწავლის უფლება აქვს სრული ზოგადი განათლების დამადასტურებელი სახელმწიფო სერტიფიკატის ან მასთან გათანაბრებული დოკუმენტის მფლობელს, რომელიც ჩაირიცხება საქართველოს კანონმდებლობის დადგენილი წესით. აუცილებელია რუსული ენის ცოდნა (B2 დონე), რაც დასტურდება სრული ზოგადი განათლების დამადასტურებელი სახელმწიფო დოკუმენტით (ატესტატით), სერტიფიკატით ან სტუ - ში გასაუბრება/ტესტირებით.

## პროგრამის აღწერა

ბაკალავრიატის საგანმანათლებლო პროგრამა შედგენილია წამყვანი ევროპული უნივერსიტეტების (ზაარბრუკენის ტექნიკისა და ეკონომიკის უნივერსიტეტი - გერმანია; სან-ანტონიოს კათოლიკური უნივერსიტეტი - ესპანეთი) გამოცდილების გაზიარებით. ბაკალავრიატის საგანმანათლებლო პროგრამა-ბიზნესის ადმინისტრირება აძლევს სტუდენტებს პროფესიისათვის საჭირო ცოდნას და ძირითად უნარებს, რაც მომავალში წარმატებული კარიერის შექმნაში დაეხმარებათ. საგანმანათლებლო პროგრამა შედგენილია ECTS სისტემით. 1 კრედიტი უდრის 25 საათს, რომელშიც იგულისხმება როგორც საკონტაქტო, ისე დამოუკიდებელი მუშაობის საათები. საგანმანათლებლო პროგრამის მოცულობა შეადგენს ძირითადი სპეციალობის 215 კრედიტსა და 25 კრედიტს არჩევით თავისუფალ კომპონენტებს. თითოეული სემესტრის მოცულობა არის - 30 ECTS კრედიტი. საგანმანათლებლო პროგრამა გრძელდება 4 წელი (8 სემესტრი). ერთი სემესტრი მოიცავს 20 სასწავლო კვირას.

სასწავლო პროცესი გაწერილია შემდეგი სახით: სემესტრი მოიცავს 20 კვირას, აქედან სასწავლო პროცესი მიმდინარეობს 16 კვირას. XVII კვირა ეთმობა თემატურ პროექტს და გამოცდისათვის მზადებას, XVIII–XIX კვირას ტარდება დასკვნითი გამოცდა. XX კვირა, საჭიროების შემთხვევაში, ეთმობა დამატებით გამოცდას.

სტუდენტის შეფასებისათვის გამოიყენება შეფასების ფორმები, რომელსაც განსაზღვრული აქვს ხვედრითი წილი საბოლოო შეფასებაში: შუალედური შეფასების მაქსიმალური ქულაა – 60, აქედან: მიმდინარე აქტივობის მაქსიმალური ქულაა – 30, მინიმალური ჯამური დადებითი შეფასებაა – 15 ქულა; შუასემესტრული გამოცდის მაქსიმალური ქულაა – 30, მინიმალური დადებითი შეფასებაა – 15 ქულა; დასკვნითი გამოცდის მაქსიმალური ქულაა – 40, მინიმალური დადებითი ქულაა – 20.

დამატებითი გამოცდა ტარდება დასკვნითი გამოცდის შედეგების გამოცხადებიდან არანაკლებ 5 დღეში. დამატებით გამოცდაზე მიღებულ შეფასებას არ ემატება დასკვნით შეფასებაში მიღებული ქულათა რაოდენობა.

**პირველი სასწავლო წელს (ორი სემესტრის განმავლობაში) სტუდენტი სწავლობს 12 სასწავლო კურსს (60 კრედიტი), რომელთაგან 11 საგანი (55 კრედიტი) არის სავალდებულო, ხოლო 1 საგანი (5 კრედიტი) არჩევითი.**

**მეორე სასწავლო წელს სტუდენტი ორი სემესტრის განმავლობაში სწავლობს 12 სავალდებულო სასწავლო კურსს (60 კრედიტი).**

**მესამე სასწავლო წელს სტუდენტი ორი სემესტრის განმავლობაში სწავლობს 12 სასწავლო კურსს (60 კრედიტი). აქედან, 35 კრედიტი სავალდებულო სასწავლო კურსია და 25 კრედიტი არჩევითი თავისუფალი კომპონენტები.**

**მეოთხე სასწავლო წელს სტუდენტი ორი სემესტრის განმავლობაში სწავლობს ძირითადი სპეციალობის 11 სასწავლო კურსს (60 კრედიტი): კონცენტრაციის - 9 სასწავლო კურსი (45 კრედიტი), საწარმოო პრაქტიკა (5 კრედიტი) და საბაკალავრო ნაშრომი (10 კრედიტი) ერთი სასწავლო კურსი თემატური პროექტით.**

საგანმანათლებლო პროგრამა	ECTS კრედიტი
სავალდებულო სასწავლო კურსები	155
კონცენტრაციები	45
თავისუფალი კომპონენტები	25
პრაქტიკა	5
საბაკალავრო ნაშრომი	10

## პროგრამის მიზანი

საგანმანათლებლო პროგრამის მიზანია საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის მისიის შესაბამისად შრომის ბაზარზე კონკურენტუნარიანი, მაღალკვალიფიციური და დემოკრატიულ-ჰუმანურ ფასეულობებზე ორიენტირებული, ბიზნესის ადმინისტრირების სფეროს ბაკალავრების მომზადება, რომელთაც ექნებათ შესაბამისი ცოდნა და პრაქტიკული უნარები თანამედროვე სოციალურ-ეკონომიკურ ურთიერთობათა რთულ სისტემაში განსაზღვრული ამოცანების შესასრულებლად.

## სწავლის შედეგები/კომპეტენტურობები ( ზოგადი და პროფესიული )

### ცოდნა და გაცნობიერება

ბიზნესის ადმინისტრირების ბაკალავრიატის საგანმანათლებლო პროგრამის კურსდამთავრებულმა იცის:

- ბიზნესის მართვის ფუნდამენტური დებულებები, კონცეფციები და ძირითადი პრინციპები;
- ბიზნესის სფეროში არსებული სათანადო ტერმინოლოგიის განმარტება;
- ბიზნესის სფეროში მუშაობისათვის აუცილებელი რაოდენობრივი მეთოდები.
- ელემენტარული მათემატიკური ცნებების გამოყენება ეკონომიკის და ბიზნესის სფეროში, მოთხოვნის და მიწოდების ანალიზი, ეროვნული შემოსავლის განსაზღვრა;
- მარტივი და რთული პროცენტები, ფინანსური დავალიანების დაფარვის გრაფიკის შედგენა, ანუიტეტი, ინვესტიციების შეფასება–შედარების კრიტერიუმები;

### კურსდამთავრებული აცნობიერებს:

- ეკონომიკის მდგრადი განვითარებისათვის ბიზნესის როლსა და მნიშვნელობას;
- ბიზნესის ადმინისტრირების ფუნქციონალური სფეროების ურთიერთკავშირის აუცილებლობას;
- საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების გამოყენების მნიშვნელობას ბიზნესის ადმინისტრირებაში;
- ადამიანური, ფინანსური და მატერიალური რესურსების ეფექტურად მართვის აუცილებლობას;
- უცხოური ენის ფლობის მნიშვნელობას საქმიანი ურთიერთობების წარმართვისათვის.

### ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი

#### კურსდამთავრებულს შეუძლია:

ბიზნესპროცესებთან დაკავშირებული საკითხების გადასაჭრელად ბიზნესის ადმინისტრირებისათვის დამახასიათებელი სტანდარტული და აგრეთვე, ზოგიერთი გამორჩეული მეთოდის გამოყენება;

დარგში არსებულ პრობლემების გამოვლენა და გადაჭრის გზების დასახვა წინასწარ განსაზღვრული მითითებების შესაბამისად: ორგანიზაციის ადმინისტრაციული - საკადრო, საადრიცხო, ფინანსური, ტექნიკურ-ეკონომიკური საკითხების გადაჭრა;

კონკრეტული კვლევითი/პრაქტიკული ხასიათის ბიზნეს-პროექტის მიზნებისა და ამოცანების ფორმულირება;

თანამედროვე ბიზნეს-ადმინისტრირების განვითარების თავისებურებების დემონსტრირება.

წრფივი ალგებრის, ფინანსური მათემატიკის და მათემატიკური ანალიზის მეთოდების გამოყენებით როგორც პრაქტიკული, ასევე თეორიული და პრაქტიკული შინაარსის ეკონომიკური და ბიზნესის სფეროს ამოცანების მოდელირება და ამოხსნა.

### დასკვნის უნარი

#### კურსდამთავრებულს შეუძლია:

- ბიზნესპროცესების ინფორმაციული უზრუნველყოფა: დამახასიათებელი მონაცემების შეგროვება და ინტერპრეტაცია;

- ბიზნესპროცესებში განყენებული მონაცემებისა და ბიზნეს სიტუაციების ანალიზი სტანდარტული და აგრეთვე, ზოგიერთი გამორჩეული მეთოდის გამოყენებით;
- საკუთარი მოსაზრების ფორმულირება და არგუმენტირებული დასკვნის ჩამოყალიბება.

**კომუნიკაციის უნარი**

**კურსდამთავრებულს შეუძლია:**

- ბიზნესის ადმინისტრირების სფეროში იდეების განხორციელებისა და არსებული კონკრეტული პრობლემების გადაჭრის გზების, აგრეთვე შესრულებული სამუშაოს შესახებ დეტალური წერილობითი ანგარიშის მომზადება და ზეპირი წარმოდგენა დარგის სპეციალისტებისა და არასპეციალისტებისათვის;
- ანგარიშების და პრეზენტაციების მომზადება ქართულ და უცხოურ ენებზე კომპიუტერული საოფისე პროგრამებისა და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების შემოქმედებითად გამოყენებით.

**სწავლის უნარი**

**კურსდამთავრებულს შეუძლია:**

- საკუთარი სწავლის პროცესის თანმიმდევრულად და მრავალმხრივად შეფასების საფუძველზე, პროფესიული განვითარების ან კვალიფიკაციის ამაღლების მიზნით შემდგომი სწავლის საჭიროებების დადგენა;
- ბიზნესის სფეროში წარმატებული პროფესიული საქმიანობის და შრომის ბაზრის მუდმივად ცვალებად მოთხოვნებთან შესაბამისობის უზრუნველსაყოფად სათანადო მასალების მოძიება და ნაბეჭდი თუ ინტერნეტ წყაროების გამოყენება ცოდნის გაფართოების მიზნით.

**ღირებულებები**

**კურსდამთავრებულს შეუძლია:**

- პროფესიული ღირებულებების ფორმირების პროცესში მონაწილეობა და მათ დასამკვიდრებლად შეძენილი ცოდნის გამოყენება;

პროფესიული საქმიანობის განხორციელება დამკვიდრებული ეთიკური ნორმების, სამართლიანობისა და თანასწორობის პრინციპების დაცვით.

**სწავლის შედეგების მიღწევის (სწავლება-სწავლის) მეთოდები**

- ლექცია  სემინარი (ჯგუფში მუშაობა)  პრაქტიკული  ლაბორატორიული  პრაქტიკა  საკურსო სამუშაო/პროექტი  კონსულტაცია  დამოუკიდებელი მუშაობა

სწავლის პროცესში კონკრეტული სასწავლო კურსის სპეციფიკიდან გამომდინარე, გამოიყენება სწავლება-სწავლის მეთოდების ქვემოთ მოცემული შესაბამისი აქტივობები, რომელიც ასახულია შესაბამის სასწავლო კურსის პროგრამებში (სილაბუსებში):

(დისკუსია, დებატები, პრეზენტაცია, ჯგუფური მუშაობა და სხვ.)

**სწავლება-სწავლის მეთოდების შესაბამისი აქტივობები:**

1. **დისკუსია/დებატები** – ინტერაქტიული სწავლების ერთ-ერთი ყველაზე გავრცელებული აქტივობაა. დისკუსიის პროცესი მკვეთრად ამაღლებს სტუდენტთა ჩართულობის ხარისხსა და აქტიურობას. დისკუსია შესაძლებელია გადაიზარდოს კამათში და ეს პროცესი არ შემოიფარგლება მხოლოდ პედაგოგის მიერ დასმული შეკითხვებით. იგი უვითარებს სტუდენტს მსჯელობისა და საკუთარი აზრის დასაბუთების უნარს.

2. **თანამშრომლობითი (cooperative) სწავლება** –სწავლების იმგვარი სტრატეგიაა, როდესაც ჯგუფის თითოეული წევრი ვალდებულია არა მხოლოდ თვითონ შეისწავლოს, არამედ დაეხმაროს თავის თანაგუნდელს საგნის უკეთ შესწავლაში. ჯგუფის თითოეული წევრი მუშაობს პრობლემაზე, ვიდრე ყველა მათგანი არ დაეუფლება საკითხს

3. **ჯგუფური (collaborative) მუშაობა** – ამ აქტივობის გამოყენებით სწავლება გულისხმობს

სტუდენტთა ჯგუფურად დაყოფას და მათთვის სასწავლო დავალებების მიცემას. ჯგუფის წევრები ინდივიდუალურად ამუშავებენ საკითხს და პარალელურად უზიარებენ თავის მოსაზრებებს ჯგუფის დანარჩენ წევრებს. დასახული ამოცანიდან გამომდინარე შესაძლებელია ჯგუფის მუშაობის პროცესში წევრებს შორის მოხდეს ფუნქციების გადანაწილება. ეს სტრატეგია უზრუნველყოფს ყველა სტუდენტის მაქსიმალურ ჩართულობას სასწავლო პროცესში.

**4. პრობლემაზე დაფუძნებული სწავლება (PBL)** - აქტივობა, რომელიც ახალი ცოდნის მიღების და ინტეგრაციის პროცესის საწყის ეტაპად იყენებს კონკრეტულ პრობლემას.

**5. შემთხვევების შესწავლა (Case study)** – პედაგოგი სტუდენტებთან ერთად განიხილავს კონკრეტულ შემთხვევებს და ისინი ყოველმხრივ და საფუძვლიანად შეისწავლიან საკითხს. მაგალითად, საინჟინრო უსაფრთხოების სფეროში ეს შეიძლება იყოს კონკრეტული ავარიის ან კატასტროფის განხილვა, პოლიტიკის მეცნიერებაში - კონკრეტული, მაგალითად, ყარაბახის პრობლემის (სომხეთ- აზერბაიჯანის კონფლიქტის) ანალიზი და ა. შ.

**6. გონებრივი იერიში (Brain storming)** – ეს აქტივობა გულისხმობს თემის ფარგლებში კონკრეტული საკითხის/პრობლემის შესახებ მაქსიმალურად მეტი, სასურველია რადიკალურად განსხვავებული, აზრის, იდეის ჩამოყალიბებასა და გამოთქმის ხელშეწყობას. აღნიშნული აქტივობა განაპირობებს პრობლემისადმი შემოქმედებითი მიდგომის განვითარებას. მისი გამოყენება ეფექტიანია სტუდენტთა მრავალრიცხოვანი ჯგუფის არსებობის პირობებში და შედეგადად რამდენიმე ძირითადი ეტაპისგან: პრობლემის/საკითხის განსაზღვრა შემოქმედებითი კუთხით;– დროის გარკვეულ მონაკვეთში საკითხის ირგვლივ მსმენელთა მიერ– გამოთქმული იდეების კრიტიკის გარეშე ჩანიშვნა (ძირითადად დაფაზე); 3 შეფასების კრიტერიუმების განსაზღვრა კვლევის მიზანთან იდეის შესაბამისობის– დასადგენად; შერჩეული იდეების შეფასება წინასწარ გასაზღვრული კრიტერიუმებით;– გამორიცხვის გზით იმ იდეების გამორჩევა, რომლებიც ყველაზე მეტად– შეესაბამება დასმულ საკითხს; უმაღლესი შეფასების მქონე იდეის, როგორც დასახული პრობლემის გადაჭრის– საუკეთესო საშუალების გამოვლენა.

**7. როლური და სიტუაციური თამაშები** – წინასწარ შემუშავებული სცენარის მიხედვით განხორციელებული თამაშები სტუდენტებს საშუალებას აძლევს სხვადასხვა პოზიციიდან შეხედონ საკითხს. იგი ეხმარება მათ ალტერნატიული თვალსაზრისის ჩამოყალიბებაში. ისევე, როგორც დისკუსია, ეს თამაშებიც უყალიბებს სტუდენტს საკუთარი პოზიციის დამოუკიდებლად გამოთქმისა და კამათში მისი დაცვის უნარს.

**8. დემონსტრაციის მეთოდი გულისხმობს.** შედეგის მიღწევის თვალსაზრისით ის საკმაოდ ეფექტიანია. ხშირ შემთხვევაში უმჯობესია მასალა ერთდროულად აუდიო და ვიზუალური გზით მოვაწოდოთ სტუდენტებს. შესასწავლი მასალის დემონსტრირება შესაძლებელია როგორც მასწავლებლის, ასევე სტუდენტის მიერ. ეს აქტივობა გვეხმარება თვალსაჩინო გავხადოთ სასწავლო მასალის აღქმის სხვადასხვა საფეხური, დავაკონკრეტოთ, თუ რისი შესრულება მოუწევთ სტუდენტებს დამოუკიდებლად; ამავე დროს, ეს სტრატეგია ვიზუალურად წარმოაჩენს საკითხის/პრობლემის არსს. დემონსტრირება შესაძლოა მარტივ სახეს ატარებდეს.

**9. ინდუქცია** განსაზღვრავს ნებისმიერი ცოდნის გადაცემის ისეთ ფორმას, როდესაც სწავლის პროცესში აზრის მსვლელობა ფაქტებიდან განზოგადებისაკენ არის მიმართული ანუ მასალის გადმოცემისას პროცესი მიმდინარეობს კონკრეტულიდან ზოგადისკენ.

**10. დედუქცია** განსაზღვრავს ნებისმიერი ცოდნის გადაცემის ისეთ ფორმას, რომელიც ზოგად ცოდნაზე დაყრდნობით ახალი ცოდნის აღმოჩენის ლოგიკურ პროცესს წარმოადგენს ანუ პროცესი მიმდინარეობს ზოგადიდან კონკრეტულისაკენ.

**11. ანალიზი** გვეხმარება სასწავლო მასალის, როგორც ერთი მთლიანის, შემადგენელ ნაწილებად დაშლაში. ამით მარტივდება რთული პრობლემის შიგნით არსებული ცალკეული საკითხების დეტალური გაშუქება.

**12. სინთეზი** გულისხმობს ცალკეული საკითხების დაჯგუფებით ერთი მთლიანის შედგენას. ეს აქტივობა ხელს უწყობს პრობლემის, როგორც მთლიანის დანახვის უნარის განვითარებას.

**13. ვერბალური ანუ ზეპირსიტყვიერი.** ამ აქტივობას მიეკუთვნება თხრობა, საუბარი და სხვ. აღნიშნულ პროცესში პედაგოგი სიტყვების საშუალებით გადასცემს, ხსნის სასწავლო მასალას, ხოლო სტუდენტები მოსმენით, დამახსოვრებითა და გააზრებით მას აქტიურად აღიქვამენ და ითვისებენ.

**14. წერითი მუშაობა** გულისხმობს შემდეგი სახის მოქმედებებს: ამონაწერებისა და ჩანაწერების გაკეთება, მასალის დაკონსპექტება, თეზისების შედგენა, რეფერატის ან ესეს შესრულება და სხვ.

**15. ახსნა-განმარტება** – ეფუძნება მსჯელობას მოცემული საკითხის ირგვლივ. პედაგოგს მასალის გადმოცემისას მოჰყავს კონკრეტული მაგალითი, რომლის დაწვრილებით განხილვაც ხდება მოცემული თემის ფარგლებში.

**16. ქმედებაზე ორიენტირებული სწავლება** – მოითხოვს პედაგოგისა და სტუდენტის აქტიურ ჩართულობას სწავლების პროცესში, სადაც განსაკუთრებულ დატვირთვას იძენს თეორიული მასალის პრაქტიკული ინტერპრეტაცია.

**17. პროექტის შემუშავება და პრეზენტაცია** - პროექტზე მუშაობისას სტუდენტი რეალური პრობლემის გადასაჭრელად იყენებს შეძენილ ცოდნასა და უნარ-ჩვევებს. პროექტით სწავლება ამაღლებს სტუდენტთა მოტივაციასა და პასუხისმგებლობას. პროექტზე მუშაობა მოიცავს დაგეგმვის, კვლევის, პრაქტიკული აქტივობისა და შედეგების წარმოდგენის ეტაპებს არჩეული საკითხის შესაბამისად. პროექტი განხორციელებლად ჩაითვლება, თუ მისი შედეგები თვალსაჩინოდ და დამაჯერებლად, კორექტული ფორმით არის წარმოდგენილი. იგი შეიძლება შესრულდეს ინდივიდუალურად, წყვილებში ან ჯგუფურად; ასევე, ერთი საგნის ფარგლებში ან რამდენიმე საგნის ფარგლებში (საგანთა ინტეგრაცია); დასრულების შემდეგ პროექტი შესაძლებელია წარედგინოს ფართო აუდიტორიას.

### სტუდენტის ცოდნის შეფასების სისტემა

შეფასება ხდება 100 ქულიანი სკალით.

დადებითი შეფასებებია:

- (A) - ფრიადი - შეფასების 91-100 ქულა;
- (B) - ძალიან კარგი - შეფასების 81-90 ქულა;
- (C) - კარგი - შეფასების 71-80 ქულა;
- (D) - დამაკმაყოფილებელი - შეფასების 61-70 ქულა;
- (E) - საკმარისი - შეფასების 51-60 ქულა.

უარყოფითი შეფასებებია:

- (FX) - ვერ ჩააბარა - შეფასების 41-50 ქულა, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება;
- (F) - ჩაიჭრა - შეფასების 40 ქულა და ნაკლები, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი.

### დასაქმების სფერო

ბიზნესის ადმინისტრირების საგანმანათლებლო პროგრამის ბაკალავრიატის კურსდამთავრებულს შეეძლება დაიკავოს მენეჯერის თანამდებობა ნებისმიერი ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის სუბიექტებში (საწარმოები, კომეციული ორგანიზაციები, დაწესებულებები, კორპორაციები, სადისტრიბუციო კომპანიები, ტურისტული ფირმები, ბანკები, სადაზღვევო კომპანიები) და სხვ.

## სწავლის გაგრძელების შესაძლებლობა

ბაკალავრიატის პროგრამის კურსდამთავრებულს შეუძლია სწავლის გაგრძელება მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამებზე

## პროგრამის განხორციელებისათვის აუცილებელი ადამიანური და მატერიალური რესურსი

პროგრამა უზრუნველყოფილია შესაბამისი ადამიანური და მატერიალური რესურსით. დამატებითი ინფორმაცია იხილეთ თანდართულ დოკუმენტებში.

თანდართული სილაბუსების რაოდენობა: 70

პროგრამის საგნობრივი დატვირთვა

№	საგანი	დაშვების წინაპირობა	ECTS კრედიტი							
			I წელი		II წელი		III წელი		IV წელი	
			სემესტრი							
			I	II	III	IV	V	VI	VII	VIII
1.	ფილოსოფიის შესავალი	არ აქვს	5							
2.	საქართველოს ისტორია და კულტურა	არ აქვს	5							
3.	ინფორმაციული ტექნოლოგიები 1	არ აქვს	4							
4.	<b>უცხოური ენა - B 1.1</b> ინგლისური - B 1.1 გერმანული - B 1.1 ფრანგული - B 1.1	არ აქვს	5							
5.	მათემატიკა ეკონომიკასა და ბიზნესში- 1	არ აქვს	5							
6.	ეკონომიკური თეორიის საფუძვლები	არ აქვს	6							
7.	წერითი და ზეპირი კომუნიკაციები	არ აქვს	5							
8.	ინფორმაციული ტექნოლოგიები 2	ინფორმაციული ტექნოლოგიები 1	4							
9.	მათემატიკა ეკონომიკასა და ბიზნესში- 2	მათემატიკა ეკონომიკასა და ბიზნესში- 1	5							
10.	მიკროეკონომიკა	ეკონომიკური თეორიის საფუძვლები	6							
11.	<b>უცხოური ენა -B 1. 2</b> ინგლისური - B 1. 2 გერმანული - B 1. 2 ფრანგული - B 1. 2	უცხო ენა - B 1. 1	5							
12.	პოლიტოლოგია	არ აქვს	5							
13.	<b>უცხოური ენა -B 2.1</b> ინგლისური - B 2.1	უცხო ენა - B 1. 2	5							

	გერმანული - B 2.1 ფრანგული - B 2.1										
14.	ბიზნესის საფუძვლები	არ აქვს			5						
15.	მენეჯმენტის საფუძვლები	არ აქვს			5						
16.	ფინანსების საფუძვლები	ეკონომიკური თეორიის საფუძვლები			5						
17.	მსოფლიო ეკონომიკა	ეკონომიკური თეორიის საფუძვლები			5						
18.	<b>უცხოური ენა -B 2.2</b> ინგლისური -B 2.2 გერმანული -B 2.2 ფრანგული -B 2.2	უცხო ენა - B 2.1				5					
19.	სტატისტიკა მათემატიკასა და ბიზნესში	მათემატიკა ეკონომიკასა და ბიზნესში- 2				5					
20.	საერთაშორისო ბიზნესი	ბიზნესის საფუძვლები				5					
21.	მაკროეკონომიკა	მიკროეკონომიკა				5					
22.	ბუღალტრული აღრიცხვა	არ აქვს				5					
23.	ფინანსური ინსტიტუტები და ბაზრები	ფინანსების საფუძვლები				5					
24.	საბანკო საქმის საფუძვლები	ფინანსების საფუძვლები					5				
25.	მარკეტინგის საფუძვლები	არ აქვს					5				
26.	სადაზღვევო საქმის საფუძვლები	ფინანსების საფუძვლები					5				
27.	საინჟინრო ფიქლოგია და ერგონომიკა ბიზნესში	მენეჯმენტის საფუძვლები					5				
28.	ეკონომიკური ანალიზი	ეკონომიკური თეორიის საფუძვლები					5				
29.	ფინანსური მენეჯმენტი	ფინანსების საფუძვლები					5				
30.	აკადემიური წერა	არა აქვს						5			
31.	საწარმოო პრაქტიკა ბიზნესის ორგანიზებასა და მართვაში	ბიზნესის საფუძვლები, სტატისტიკა ეკონომიკასა და ბიზნესში, მენეჯმენტის საფუძვლები, მარკეტინგის საფუძვლები.							5		
32.	საბაკალავრო ნაშრომი	აკადემიური წერა, პრაქტიკა ბიზნესის ორგანიზებასა და მართვაში									10



	<b>კონცენტრაცია 1 - მენეჯმენტი</b>									<b>25</b>	<b>20</b>
33.	ორგანიზაციული ქცევა	მენეჯმენტის საფუძვლები								5	
34.	ოპერაციული მენეჯმენტი	მენეჯმენტის საფუძვლები								5	
35.	კორპორაციული მენეჯმენტი	მენეჯმენტის საფუძვლები								5	
36.	პროექტების მენეჯმენტი	მენეჯმენტის საფუძვლები								6	
37.	ინოვაციური ბიზნესი	ეკონომიკური თეორიის საფუძვლები								4	
38.	ანტიკრიზისული მენეჯმენტი	მენეჯმენტის საფუძვლები									6
39.	რისკ-მენეჯმენტი	მენეჯმენტის საფუძვლები									5
40.	პერსონალის მართვა	მენეჯმენტის საფუძვლები									4
41.	ორგანიზაციის თეორია	მენეჯმენტის საფუძვლები									5
	<b>კონცენტრაცია 2 - ფინანსების და საბანკო საქმე</b>									<b>25</b>	<b>20</b>
42.	საბანკო ოპერაციები და პროცესები	საბანკო საქმის საფუძვლები								5	
43.	კორპორაციული ფინანსების საფუძვლები	ფინანსების საფუძვლები								5	
44.	ბანკის საოპერაციო სისტემები	საბანკო საქმის საფუძვლები								5	
45.	ბიზნესის საგადასახადო რეგულირება	ფინანსების საფუძვლები								5	
46.	მენეჯმენტი საფინანსო ორგანიზაციებში	ფინანსების საფუძვლები								5	
47.	საფინანსო-საბანკო სამართალი	საბანკო საქმის საფუძვლები									5
48.	ფინანსური ინვესტიციები	ფინანსების საფუძვლები									5
49.	საანგარიშსწორებო სისტემები	ბანკის საოპერაციო სისტემები									5
50.	ფული, ფულის მიმოქცევა და კრედიტი	საბანკო საქმის საფუძვლები									5
	<b>არჩევითი საგნები</b>									5	
51.	ზოგადი სოციოლოგია	არ აქვს									
52.	გამოყენებითი ფსიქოლოგია	არ აქვს								5	
53.	კრიტიკული აზროვნება	არ აქვს									
	<b>თავისუფალი კომპონენტები</b>									<b>25</b>	
54.	გარემოს დაცვა და ეკოლოგია 2	არ აქვს								5	

55.	შრომის უსაფრთხოება	არ აქვს							5	
56.	კულტურის ანალიზი და რეპრეზენტაცია მასკომუნიკაციებში	არ აქვს							5	
57.	ძვირფასი ქვები, კეთილშობილი ლითონები და მათი რესურსები	არ აქვს							5	
58.	ჟურნალისტიკის საფუძვლები	არ აქვს							5	
59.	შესავალი ტურიზმში	არ აქვს							5	
60.	მოსაპირკეთებელი მასალები ინტერიერში	არ აქვს							5	
61.	ეკონომიკის ისტორია	არ აქვს							5	
62.	ტექსტილი ინტერიერში	არ აქვს							5	
სემესტრში			30	30	30	30	30	30	30	30
წელიწადში			60	60	60	60	60	60	60	60
სულ			240							

**პროგრამის სასწავლო გეგმა**

№	საგნის კოდი	საგანი	ECTS /საათი	საათი								
				ლექცია	სემინარი (ჯგუფში მუშაობა)	პრაქტიკული	ლაბორატორიული	პრაქტიკა	საკურსო სამუშაო/პროექტი	შუასემესტრული გამოცდა	დასკვნითი გამოცდა	დამოუკიდებელი მუშაობა
1.	HEL30312R1-LS	ფილოსოფიის შესავალი	5\125	15	30					2	2	76
2.	HEL20512R1-LS	საქართველოს ისტორია და კულტურა	5\125	15	30					1	1	78
3.	ICT12708R1-LB	ინფორმაციული ტექნოლოგიები 1	4/100	4		26				1	1	68
4.	LEH13012R1-P LEH13812R1-P LEH13412R1-P	<b>უცხოური ენა -B 1.1</b> ინგლისური -B 1.1 გერმანული -B 1.1 ფრანგული -B 1.1	5\125		45					1	1	78
5.	MAS35008R1-LP	მათემატიკა ეკონომიკასა და ბიზნესში- 1	5\125	15	30					1	2	77
6.	SOS11413R1-LS	ეკონომიკური თეორიის საფუძვლები	6\150	15	30					2	2	101
7.	LEH14212R1-LS	წერითი და ზეპირი კომუნიკაციები	5\125	15	30					1	1	78
8.	ICT12808R1-LB	ინფორმაციული ტექნოლოგიები 2	4/100	4		26				1	1	68
9.	MAS35008R1-LP	მათემატიკა ეკონომიკასა და	5\125	15	30							77

		ბიზნესში- 2								1	2	
10.	SOS11513R1-LS	მიკროეკონომიკა	6\150	15	30					2	2	101
11.	LEH13112R1-P LEH13912R1-P LEH13512R1-P	<b>უცხოური ენა -B 1.2</b> ინგლისური -B 1.2 გერმანული -B 1.2 ფრანგული -B 1.2	5\125			45				1	1	78
12.	SOS20313R1-LS	პოლიტოლოგია	5\125	15	30					2	2	76
13.	LEH13212R1-P LEH14012R1-P LEH13612R1-P	<b>უცხოური ენა -B 2.1</b> ინგლისური -B 2.1 გერმანული -B 2.1 ფრანგული -B 2.1	5\125			45				1	1	78
14.	BUA43613R1-LSP	ბიზნესის საფუძვლები	5\125	15	15	15				1	2	77
15.	BUA35513R1-LSP	მენეჯმენტის საფუძვლები	5\125	15	20	10				1	2	77
16.	BUA24413R1-LS	ფინანსების საფუძვლები	5\125	15	30					1	1	78
17.	SOS11713R1-LS	მსოფლიო ეკონომიკა	5\125	15	30					2	2	76
18.	LEH13312R1-P LEH14112R1-P LEH13712R1-P	<b>უცხოური ენა -B 2.2</b> ინგლისური -B 2.2 გერმანული -B 2.2 ფრანგული -B 2.2	5\125			45				1	1	78
19.	MAS22013R1-LSP	სტატისტიკა მათემატიკასა და ბიზნესში	5\125	15	15	15				1	2	77
20.	BUA43713R1-LSP	საერთაშორისო ბიზნესი	5\125	15	24	6				1	2	77
21.	SOS11613R1-LS	მაკროეკონომიკა	5\125	15	30					2	2	76
22.	BUA11413R1-LP	ბუღალტრული არრიცხვა	5\125	15		30				1	2	77
23.	BUA24513R1-LP	ფინანსური ინსტიტუტები და ბაზრები	5\125	15	30					1	2	77
24.	BUA24613R1-LS	საბანკო საქმის საფუძვლები	5\125	15	30					1	1	78
25.	BUA51913R1-LSP	მარკეტინგის საფუძვლები	5\125	15	24	6				1	2	77
26.	BUA24713R1-LS	სადაზღვევო საქმის საფუძვლები	5\125	15	30					1	1	78
27.	BUA43813R1-LS	საინჟინრო ფსიქოლოგია და ერგონომიკა ბიზნესში	5\125	15	30					1	2	77
28.	BUA43913R1-LSP	ეკონომიკური ანალიზი	5\125	15	15	15				1	2	77
29.	BUA24413R1-LS	ფინანსური მენეჯმენტი	5\125	15	30					1	1	78
30.	LEH14312R1-LS	აკადემიური წერა	5\125	15	30					1	1	78
31.	BUA44813R1- LSP	საწარმოო პრაქტიკა ბიზნესის ორგანიზებასა და მართვაში	5\125			15	30			1	1	78
32.	BUA47513R1-K	საბაკალავრო ნაშრომი	10/250			15		60			0.5	189.5
<b>კონცენტრაცია- 1 - მენეჯმენტი</b>												
33.	BUA44013R1-LS	ორგანიზაციული ქცევა	5\125	15	30					1	2	77
34.	BUA35613R1-LSP	ოპერაციული მენეჯმენტი	5\125	15	15	15				1	2	77
35.	BUA35713R1-LSP	კორპორაციული მენეჯმენტი	5\125	15	22	8				1	2	77
36.	BUA44113R1-LSP	პროექტების მენეჯმენტი	6\150	30	18	9		4		1	1	87

37.	BUA44213R1-LS	ინოვაციური ბიზნესი	4\100	15	15				1	2	67
38.	BUA44313R1-LSP	ანტიკრიზისული მენეჯმენტი	6\150	30	15	15			1	1	88
39.	BUA35813R1-LS	რისკ-მენეჯმენტი	5\125	15	30				1	2	77
40.	BUA35913R1-LSP	პერსონალის მართვა	4\100	15	10	5			1	2	67
41.	BUA36013R1-LS	ორგანიზაციის თეორია	5\125	15	30				1	2	77
<b>კონცენტრაცია 2 - ფინანსები და საბანკო საქმე</b>											
42.	BUA24913R1-LS	საბანკო ოპერაციები და პროცესები	5\125	15	30				1	1	78
43.	BUA44313R1-LS	კორპორაციული ფინანსების საფუძვლები	5\125	15	30				1	1	78
44.	BUA25113R1-LB	ბანკის საოპერაციო სისტემები	5\125	15		30			1	1	78
45.	BUA25213R1-LS	ბიზნესის საგადასახადო რეგულირება	5\125	15	30				1	1	78
46.	BUA36213R1-LS	მენეჯმენტი საფინანსო დაწესებულებებში	5\125	15	30				1	1	78
47.	BUA25313R1-LS	საფინანსო-საბანკო სამართალი	5\125	15	30				1	1	78
48.	BUA25413R1-LS	ფინანსური ინვესტიციები	5\125	15	30				1	1	78
49.	BUA25513R1-LB	საანგარიშსწორებო სისტემები	5\125	15		30			1	1	78
50.	BUA25013R1-LS	ფული, ფულის მიმოქცევა და კრედიტი	5\125	15	30				1	1	78
<b>არჩევითი საგნები</b>											
51.	SOS40412R1-LS	ზოგადი სოციოლოგია	5\125	15	30				1	1	78
52.	SOS30412R1-LS	გამოყენებითი ფსიქოლოგია	5\125	15	30				1	1	78
53.	SOS30712R1-LS	კრიტიკული აზროვნება	5\125	15	30				1	1	78
<b>თავისუფალი კომპონენტები</b>											
54.	EET2-01-04R1 ISB	გარემოს დაცვა და ეკოლოგია 2	5\125	15	15	15			1	1	78
55.	HHS20203R1-LSB	შრომის უსაფრთხოება	5\125	15	15	15			1	1	78
56.	JOI10212R1-LS	კულტურის ანალიზი და რეპრეზენტაცია მასკომუნიკაციებში	5\125	15	30				1	1	78
57.	PHS30203R1-LB	ძვირფასი ქვები, კეთილშობილი ლითონები და მათი რესურსები	5\125	15		30			1	2	77
58.	JOI10112R1-LS	ჟურნალისტიკის საფუძვლები	5\125	15	30				1	1	78
59.	PES10113R1-LS	შესავალი ტურიზმში	5\125	15	30				1	2	77
60.	AAC70813R1-LS	მოსაპირკეთებელი მასალები ინტერიერში	5\125	15	30				1	1	78
61.	SOS15212R2-LS	ეკონომიკის ისტორია	5\125	15	30				1	1	78
62.	AAC70913R1-LS	ტექსტილი ინტერიერში	5\125	5	40				1	1	78

პროგრამის ხელმძღვანელი

თეიმურაზ ყანდაშვილი

ბიზნესტექნოლოგიების ფაკულტეტის  
ხარისხის უზრუნველყოფის  
სამსახურის ხელმძღვანელი

ნინო ჩიკვილაძე

ფაკულტეტის დეკანი

რუსუდან ქუთათელაძე

**შეთანხმებულია**

სტუ-ს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან

დავით მახვილაძე

**მიღებულია**

ბიზნეს-ინჟინერინგის  
ფაკულტეტის საბჭოს  
სხდომაზე 03.09.2012წ. ოქმი

№7

ფაკულტეტის საბჭოს  
თავმჯდომარე

**მოდირიგირებულია**

ბიზნესტექნოლოგიების  
23.07.2021წ. ოქმი №7

ფაკულტეტის საბჭოს თავმჯდომარე

რუსუდან ქუთათელაძე

პროგრამის სწავლის შედეგი<sup>1</sup>

სასწავლო კურსი	ბიზნესის მართვის ფუნდამენტური დებულებები, კონცეფციები და ძირითადი პრინციპები და ბიზნესის სფეროში არსებული სათანადო ტერმინოლოგიის განმარტება;	ბიზნესის სფეროში მუშაობისათვის აუცილებელი რაოდენობრივი მეთოდები და ელემენტარული მათემატიკური ცნებების გამოყენება ეკონომიკის და ბიზნესის სფეროში, მოთხოვნის და მიწოდების ანალიზი, ეროვნული შემოსავლის განსაზღვრა;	მარტივი და რთული პროცენტები, ფინანსური დავალიანების დაფარვის გრაფიკის შედგენა, ანუიტუტი, ინვესტიციების შეფასება-შედარების კრიტერიუმები;	ეკონომიკის მდგრადი განვითარებისათვის ბიზნესის როლსა და მნიშვნელობას და ბიზნესის ადმინისტრირების ფუნქციონალური სფეროების ურთიერთკავშირის აუცილებლობას;	საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების გამოყენების მნიშვნელობას ბიზნესის ადმინისტრირებაში და ადამიანური, ფინანსური და მატერიალური რესურსების ეფექტურად მართვის აუცილებლობას;	ბიზნესპროექტებთან დაკავშირებული საკითხების გადასაჭრელად ბიზნესის ადმინისტრირებისათვის დამახასიათებელი სტანდარტული და აგრეთვე, ზოგიერთი გამოჩენილი მეთოდის გამოყენება;	დარგში არსებულ პრობლემების გამოვლენა და გადაჭრის გზების დასახვა წინასწარ განსაზღვრული მითითებების შესაბამისად: ორგანიზაციის ადმინისტრაციული - საკადრო, საღირებვო, ფინანსური, ტექნიკურ-ეკონომიკური საკითხების გადაჭრა; კონკრეტული კვლევითი/პრაქტიკული ხასიათის ბიზნეს-პროექტის მიზნებისა და ამოცანების ფორმულირება;	თანამედროვე ბიზნეს-ადმინისტრირების განვითარების თავისებურებების დემონსტრირება. წრფივი ალგებრის, ფინანსური მათემატიკის და მათემატიკური ანალიზის მეთოდების გამოყენებით როგორც პრაქტიკული, ასევე თეორიული და პრაქტიკული შინაარსის ეკონომიკური და ბიზნესის სფეროს ამოცანების მოდელირება და ამოხსნა.	ანგარიშების და პრეზენტაციების მომზადება ქართულ და უცხოურ ენებზე კომპიუტერული საოფისე პროგრამებისა და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების შემოქმედებითად გამოყენებით.	პროფესიული საკმარისობის განხორციელება დამკვიდრებული ეთიკური ნორმების, სამართლიანობისა და თანასწორობის პრინციპების დაცვით.
ფილოსოფიის შესავალი										1
საქართველოს ისტორია და კულტურა										1
ინფორმაციული ტექნოლოგიები 1					1					1
<b>უცხოური ენა - B 1.1</b> ინგლისური - B 1.1 გერმანული - B 1.1 ფრანგული - B 1.1					1					1
მათემატიკა ეკონომიკასა და ბიზნესში- 1	1	1	1			1	1	1		
ეკონომიკური თეორიის საფუძვლები	1	1		1			1	1		

<sup>1</sup> პროგრამის სწავლის შედეგებში მიუთითეთ შესაბამისი რიცხვები: გაცნობა - 1; გაღრმავება - 2; განმტკიცება - 3.

წერითი და ზეპირი კომუნიკაციები					1				1	
ინფორმაციული ტექნოლოგიები 2					2				2	
მათემატიკა ეკონომიკასა და ბიზნესში- 2	2	2	2			2	2	2		
მიკროეკონომიკა	2	2		2				2		
<b>უცხოური ენა -B 1. 2</b>					2				2	2
ინგლისური - B 1. 2										
გერმანული - B 1. 2										
ფრანგული - B 1. 2										
პოლიტოლოგია				1						1
<b>უცხოური ენა -B 2.1</b>					2				2	2
ინგლისური - B 2.1										
გერმანული - B 2.1										
ფრანგული - B 2.1										
ბიზნესის საფუძვლები	1	1	1	1	1	1	1	1	1	1
მენეჯმენტის საფუძვლები	1			1	1	1	1			1
ფინანსების საფუძვლები		2	2		2		2	2		
მსოფლიო ეკონომიკა				2	1	2	2		2	2
<b>უცხოური ენა -B 2.2</b>					3				3	3
ინგლისური -B 2.2										
გერმანული -B 2.2										
ფრანგული -B 2.2										
სტატისტიკა ეკონომიკასა და ბიზნესში	3	3		3		3	3	3		
საერთაშორისო ბიზნესი	2	2		2	2	2	2	2		
მაკროეკონომიკა	3	3	3	3	3	3	3	3		3
საბუღალტრო აღრიცხვა	2	2	2			2	2			
ფინანსური ინსტიტუტები და ბაზრები		3	3		3	3		3	3	

<sup>1</sup> პროგრამის სწავლის შედეგებში მიუთითეთ შესაბამისი რიცხვები: გაცნობა - 1; გაღრმავება - 2; განმტკიცება - 3.

საბანკო საქმის საფუძვლები	2	2	2	2	2		2	2		2
მარკეტინგის საფუძვლები	2			2	2	2	2		2	
სადაზღვევო საქმის საფუძვლები	3	3	3	3	3		3	3		3
საინჟინრო ფიქოლოგია და ერგონომიკა ბიზნესში	3	3		3	3	3	3		3	3
ეკონომიკური ანალიზი	3	3	3	3	3		3	3	3	
ფინანსური მენეჯმენტი		3	3		3		3	3		
აკადემიური წერა									2	
საწარმოო პრაქტიკა ბიზნესის ორგანიზებასა და მართვაში	3	3	3	3	3	3	3	3	3	3
საბაკალავრო ნაშრომი	3	3	3	3	3	3	3	3	3	3
ორგანიზაციული ქცევა					3	3	3			3
ოპერაციული მენეჯმენტი	3	3			3	3	3	3	3	
კორპორაციული მენეჯმენტი	3	3	3		3	3	3	3	3	3
პროექტების მენეჯმენტი	3	3	3		3	3	3	3		
ინოვაციური ბიზნესი	3				3	3			3	3
ანტიკრიზისული მენეჯმენტი		3	3	3	3	3	3	3	3	
რისკ-მენეჯმენტი	3	3	3	3	3	3	3	3		
პერსონალის მართვა				3	3	3	3		3	3
ორგანიზაციის თეორია	3			3			3			
საბანკო ოპერაციები და პროცესები	3		3		3			3		3
კორპორაციული ფინანსების საფუძვლები	3	3	3		3	3	3	3		
ბანკის საოპერაციო სისტემები					3	3			3	3
ბიზნესის საგადასახადო რეგულირება	3	3		3	3	3	3	3		

<sup>1</sup> პროგრამის სწავლის შედეგებში მიუთითეთ შესაბამისი რიცხვები: გაცნობა - 1; გაღრმავება - 2; განმტკიცება - 3.



მენეჯმენტი საფინანსო ორგანიზაციებში	3	3		3	3	3	3	3		
საფინანსო-საბანკო სამართალი	3					3				3
ფინანსური ინვესტიციები	3	3	3	3	3	3	3	3		
საანგარიშსწორებო სისტემები	3		3		3			3		3
ფული, ფულის მიმოქცევა და კრედიტი	3	3	3	3	3	3	3	3		
ზოგადი სოციოლოგია									1	1
გამოყენებითი ფსიქოლოგია									1	1
კრიტიკული აზროვნება									1	1
გარემოს დაცვა და ეკოლოგია 2										
შრომის უსაფრთხოება										
კულტურის ანალიზი და რეპრეზენტაცია მასკომუნიკაციებში										
მვირფასი ქვები, კეთილშობილი ლითონები და მათი რესურსები										
ჟურნალისტიკის საფუძვლები										
შესავალი ტურიზმში										
მოსაპირკეთებელი მასალები ინტერიერში										
ტექსტილი ინტერიერში										

<sup>1</sup> პროგრამის სწავლის შედეგებში მიუთითეთ შესაბამისი რიცხვები: გაცნობა - 1; გაღრმავება - 2; განმტკიცება - 3.

პროგრამის მიზნებისა და სწავლის შედეგების რუკა<sup>2</sup>

<p>პროგრამის მიზნები</p>	<p>ბიზნესის მართვის ფუნდამენტური დებულებები, კონცეფციები და ძირითადი პრინციპები და ბიზნესის სფეროში არსებული სათანადო ტერმინოლოგიის განმარტება;</p>	<p>ბიზნესის სფეროში მუშაობისათვის აუცილებელი რაოდენობრივი მეთოდები და ელემენტარული მათემატიკური ცნებების გამოყენება ეკონომიკის და ბიზნესის სფეროში, მოთხოვნის და მიწოდების ანალიზი, ეროვნული შემოსავლის განსაზღვრა;</p>	<p>მარტევი და რთული პროცენტები, ფინანსური დავალიანების დაფარვის გრაფიკის შედგენა, ანუიტეტი, ინფლაციების შეფასება-შედაარების კრიტერიუმები;</p>	<p>ეკონომიკის მდგრადი განვითარებისათვის ბიზნესის როლსა და მნიშვნელობას და ბიზნესის ადმინისტრირების ფუნქციონალური სფეროების ურთიერთკავშირის აუცილებლობას;</p>	<p>საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების გამოყენების მნიშვნელობას ბიზნესის ადმინისტრირებაში და ადამიანური, ფინანსური და მატერიალური რესურსების ეფექტურად მართვის აუცილებლობას;</p>	<p>ბიზნესპროექტებთან დაკავშირებული საკითხების გადასაჭრელად ბიზნესის ადმინისტრირებისათვის დამახასიათებელი სტანდარტული და აგრეთვე, ზოგერთი გამორჩეული მეთოდის გამოყენება;</p>	<p>დარგში არსებულ პრობლემების გამოვლენა და გადაჭრის გზების დასახვა წინასწარ განსაზღვრული მითითებების შესაბამისად: ორგანიზაციის ადმინისტრაციული - საკადრო, სადრიცხო, ფინანსური, ტექნიკურ-ეკონომიკური საკითხების გადაჭრა; კონკრეტული კვლევითი/პრაქტიკული ხასიათის ბიზნეს-პროექტის მიზნებისა და ამოცანების ფორმულირება;</p>	<p>თანამედროვე ბიზნეს-ადმინისტრირების განვითარების თავისებურებების დემონსტრირება, წიფივი ალგორითის, ფინანსური მათემატიკის და მათემატიკური ანალიზის მეთოდების გამოყენებით როგორც პრაქტიკული, ასევე თეორიული და პრაქტიკული შინაარსის ეკონომიკური და ბიზნესის სფეროს ამოცანების მოდელირება და ამოხსნა.</p>	<p>ანგარიშების და პრეზენტაციების მომზადება ქართულ და უცხოურ ენებზე კომპიუტერული საოფისე პროგრამებისა და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების შემოქმედებითად გამოყენებით.</p>	<p>პროფესიული საქმიანობის განხორციელება დამკვიდრებული ეთიკური ნორმების, სამართლიანობისა და თანასწორობის პრინციპების დაცვით.</p>
<p>საგანმანათლებლო პროგრამის მიზანია საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის მისიის შესაბამისად შრომის ბაზარზე კონკურენტუნარიანი, მაღალკვალიფიციური და დემოკრატიულ-ჰუმანურ ფასეულობებზე ორიენტირებული ბიზნესის ადმინისტრირების ბკლვრების მომზადება.</p>									<p>✓</p>	<p>✓</p>
<p>ბაკალავრებს ექნებათ ბიზნესის ადმინისტრირების სფეროს შესაბამისი ცოდნა თანამედროვე სოციალურ-ეკონომიკურ ურთიერთიერთობათა რთულ სისტემაში განსაზღვრული ამოცანების შესასრულებლად.</p>	<p>✓</p>	<p>✓</p>	<p>✓</p>	<p>✓</p>	<p>✓</p>	<p>✓</p>	<p>✓</p>	<p>✓</p>	<p>✓</p>	<p>✓</p>
<p>ბაკალავრებს ექნებათ ბიზნესის ადმინისტრირების სფეროს შესაბამისი პრაქტიკული უნარები თანამედროვე სოციალურ-ეკონომიკურ ურთიერთიერთობათა რთულ სისტემაში განსაზღვრული ამოცანების შესასრულებლად.</p>	<p>✓</p>	<p>✓</p>	<p>✓</p>	<p>✓</p>	<p>✓</p>	<p>✓</p>	<p>✓</p>	<p>✓</p>	<p>✓</p>	<p>✓</p>

<sup>2</sup> პროგრამის სწავლის შედეგები მონიშნეთ „✓“ სიმბოლოთი.

---

<sup>2</sup> პროგრამის სწავლის შედეგები მონიშნეთ „√“ სიმბოლოთი.